

შემოსავლების სამსახურსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის  
ინფორმაციის გაცვლის ზოგადი მიმოხილვა  
FATCA-ს ხელშეკრულების ფარგლებში

- შესავალი
- ავტორიზაცია
- მონაცემების ატვირთვა შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალზე
- მონაცემების დადასტურება
- შემოსავლების სამსახურის მიერ მონაცემების გაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და დასტურის ასახვა
- ატვირთული ინფორმაციის სტატუსები
- პროცესის ბლოკ-სქემა

DRAFT

## შესავალი

დოკუმენტში მოცემულია ზოგადი მიმოხილვა ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, ფინანსურ ინსტიტუტებსა (FI) და შემოსავლების სამსახურს (HCTA) შორის. დოკუმენტში ასახული პროცესის წინაპირობას წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების რეგისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე (<http://www.irs.gov/Businesses/Corporations/FATCA-Foreign-Financial-Institution-Registration-Tool>).

## ავტორიზაცია


იმ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებსაც გააჩნიათ ვალდებულება (FATCA-ხელშეკრულების ფარგლებში) მიაწოდონ ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურს, და იმავდროულად არიან რეგისტრირებულნი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, როგორც გადასახადის გადამხდელები, სარგებლობენ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისებით და გააჩნიათ ავტორიზებული მომხმარებლის User Name და Password-ი. სურათი N1



აღნიშნული User Name და Password-ის საშუალებით, ვებ-პორტალზე <http://www.rs.ge> ავტორიზაციის გავლის შემდეგ, ზედა პანელიდან სავალდებულოა მთავარი გვერდის განახლებულ ვერსიაზე გადასვლა იხ. სურათი N2



განახლებული ვერსიის ჩამოშლად მენიუში დამატებულია ახალი ჩანართი FATCA იხ. სურათი N3



ფინანსურ ინსტიტუტების მთავრ გვერდზე დამატება ახალი ჩანართი FATCA იხ. სურათი N4



(იმ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ელექტრონული სერვისებით სარგებლობის User Name და Password - საჭირო გაიარონ რეგისტრაცია - <https://eservices.rs.ge/Registration.aspx>)

## მონაცემების ატვირთვა შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალზე

ჩანართი FATCA-ს საშუალებით თითოეული ფინანსური ინსტიტუტისათვის შესაძლებელი იქნება XML ფაილის ატვირთვა

### მონაცემების დადასტურება

ფინანსური ინსტიტუტის მიერ შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალზე მონაცემების ატვირთვის პროცესში, შემოსავლების სამსახურის სისტემის მიერ განხორციელდება XML ფაილის თავსებადობის შემოწმება ამერიკის შეერთებული შტატების, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულ [FATCA XMLv1.1](#) ფაილთან.

<http://www.irs.gov/Businesses/Corporations/FATCA-XML-Schemas-and-Business-Rules-for-Form-8966>

პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, ფინანსური ინსტიტუტის ელ. გვერდზე ჩანართი FATCA-გაჩნდება ახალი ჩანაწერი (ფაილების ატვირთვის თარიღი და სტატუსი და სხვა).

თავდაპირველად ატვირთული ფაილს მიენიჭება სტატუსი „მიღებული“

### შემოსავლების სამსახურის მიერ მონაცემების გაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და დასტურის ასახვა

შემოსავლების სამსახური, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ ფაილებს, ატვირთავს ვებ-გვერდზე <https://www.idesgateway.com> და ჩანაწერს მიანიჭებს ახალ სტატუსს „გაგზავნილი“

ინფორმაციის, სისრულის დადასტურების შემთხვევაში (ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურის მიერ), შემოსავლების სამსახური შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის ელექტრონული სერვისების გვერდზე ჩანაწერს მიანიჭებს ახალ სტატუსს „დადასტურებული“

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ არ იქნა მიღებული ინფორმაცია და მოხდა მისი უარყოფა, აღნიშნულის შესახებ ეცნობება ფინანსურ ინსტიტუტს შესაბამისი კომენტარით (ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შექმნილი კომენტარი) და მიენიჭება ჩანაწერს ახალი სტატუსი „უარყოფილი“

**ატვირთული ინფორმაციის სტატუსები**

- **მიღებული** - შემოსავლების სამსახური მიერ მიღებულია ინფორმაცია
- **გაგზავნილი** - შემოსავლების სამსახურის მიერ გაგზავნილია ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან
- **დადასტურებული** - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ, ინფორმაციის მიღება და სისრულე დადასტურებულია
- **უარყოფილი** - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ინფორმაცია არ არის მიღებული

პროცესის ბლოკ-სქემა

DRAFT

